



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 9 21 0000652620



30/06/2021

„უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 25 ივნისის №629343 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“:

ა) მე-6 მუხლის:

ა.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს მიერ შემუშავებული, ასევე სამუშაო ჯგუფის ან გარე ინიციატორის მიერ წარდგენილი პროექტი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო განხილვისთვის. განსახილველ დოკუმენტ(ებ)თან ერთად, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მიერ განთავსდება საჯარო განხილვის სხდომაში მონაწილეობის

მსურველთა ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც აისახება დაინტერესებული პირის საკონტაქტო ინფორმაცია და შენიშვნა/რეკომენდაციები დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით.";

ა.ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹-5³ პუნქტები:

„5¹. დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით წინადადებების წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით აღნიშნული პროექტის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მის საჯარო განხილვამდე ერთი სამუშაო დღით ადრე პერიოდში. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულებისთანავე ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური საბჭოს წევრებს უგზავნის დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით შემოსულ შენიშვნებს/რეკომენდაციებს.

5². დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 2 კვირის და არაუმეტეს 1 თვის ვადაში ინიშნება საჯარო განხილვა. დეტალური ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე ეგზავნება ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმით რეგისტრირებულ დაინტერესებულ პირს/პირებს. საჯარო განხილვა შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

5³. საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, არგუმენტაცია, და შეფასებები აისახება საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.";

ა.გ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მიღებული დოკუმენტი ქვეყნდება საჯაროდ ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება საბჭოს/სამუშაო ჯგუფის წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებულია/განახლებულია გარე ინიცირების ფარგლებში, ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.".

ბ) მე-9 მუხლის:

ბ.ა) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. საბჭოს სხდომის ის ოქმი, რომელზედაც განიხილება დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების შესახებ რეკომენდაციის გაცემის საკითხი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.".

ბ.ბ) მე-14 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

